ინვესტორთა საბჭოს მეშვიდე სხდომის ოქმი

11 დეკემბერი, 2017 წ., 16:00სთ., სახელმწიფო კანცელარია სხდომის თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ

ინვესტორთა საბჭოს წევრები:

- გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი, ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე
- დიმიტრი ქუმსიშვილი, პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი
- მამუკა ბახტაძე, ფინანსთა მინისტრი
- ზურაბ ალავიძე, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი
- ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი
- ზურაბ ძნელაშვილი, ბიზნეს ომბუდსმენი
- მაიქელ ქოუგილი, პრეზიდენტი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- გიორგი ჭირაქაძე, პრეზიდენტი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
- ნინო ჩიქოვანი, პრეზიდენტი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
- ზვიად ჭუმბურიძე, პრეზიდენტი, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭო
- ფადი ასლი, თავმჯდომარე, საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- ბრუნო ბალვანერა, კავკასიის, მოლდოვასა და ბელორუსის დირექტორი, ევრობანკი
- იან ვან ბილსენი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რეგიონალური მენეჯერი სამხრეთ კავკასიაში
- მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

მოწვეული სტუმრები:

- თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი
- ნინო გვენეტაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
- გიორგი მიქაუტაძე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
- ეკა ბესელია, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე
- გიორგი ჩოგოვაძე, საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციის თავმჯდომარე
- სამსონ ფხაკაძე, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
- ასიფ ჩიმა, ინვესტიციების უფროსი სპეციალისტი, აზიის განვითარების ბანკი
- სარა უილიამსონი, ამერიკის სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი
- დეივიდ ლი, უფროსი აღმასრულებელი ოფიცერი, ევროპული ბიზნეს ასოციაცია
- გიორგი კაჭარავა, პროექტების დირექტორი, ევროკავშირ საქართველოს ბიზნეს საბჭო
- ჯორჯ უელტონი, აღმასრულებელი დირექტორი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- ირაკლი ასლანიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
- ზურაბ კაჭკაჭიშვილი, აღმასრულებელი დირექტორი, საერთაშორისო სავაჭრო პალატა
- ბექა ინჯია, იურიდიული მრჩეველი, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა
- ლინა ჯიქია, უფროსი ადვოკატი და საჯარო პოლიტიკის ოფიცერი, ამერიკის სავაჭრო პალატა
- ლორეტა მარტიკიანი, ევრობანკი
- გიორგი ჯუღელი, იურიდიული ექსპერტი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო
- ერეკლე კოკაია, ბიზნეს ანალიტიკოსი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნო

პრემიერ-მინისტრის გახსნითი სიტყვა:

გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი:

- მიესალმა დამსწრეებს და გააცნო მათ სამთავრობო სტრუქტურებში განხორციელებული ცვილებები, რომლებიც მიზნად ისახავს ფუნქციათა გადაფარვის აღმოფხვრას, სამინისტროების პროდუქტიულობის ზრდასა და ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას.

მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს დასწრებისთვის და სთხოვა ქალბატონ ეკა ბესელიას, ესაუბრა სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღაზე მომუშავე საპარლამენტო უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე.

ეკა ბესელიამ, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ:

- ხაზი გაუსვა სასამართლო რეფორმის სამივე ტალღის განხორციელების მნიშვნელობას.
- განმარტა სამუშაო ჯგუფის ფორმატი, რომელშიც ჩართულია როგორც სამივე სახელისუფლებო შტო: სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, ასევე უცხოელი პარტნიორები.
- მიმოიხილა ოთხი მთავარი თემა და ის დამატებითი საკითხი, რომელზეც მუშაობს ჯგუფი: 1) საქმეთა ნაკადის მართვა; 2) მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა; 3) იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა; 4) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნორმები და სტანდარტები. ამ თემების გარდა, ჯგუფი იმუშავებს კომერციული პალატების თემაზე, კონცეფციის ჩამოყალიბებისთანავე.

მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- აღნიშნა, რომ ინვესტორთა საბჭოს სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფი სიამოვნებით გაეცნობა შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტს, რათა ჩამოაყალიბოს თავისი რეკომენდაციები.

ზვიად ჭუმბურიძემ, ევროკავშირ-საქართველოს ბიზნეს საბჭოს პრეზიდენტმა:

- სთხოვა ქალბატონ ეკა ბესელიას, რომ საშუალება მისცეს ინვესტორთა საბჭოს წევრ ბიზნეს ორგანიზაციებს კომუნიკაცია დაამყარონ საპარლამენტო უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფთან.

ეკა ბესელიამ, პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ:

- გამოხატა მზადყოფნა ასეთი შეხვედრის ორგანიზებისთვის.

2017 წლის 6 სექტემბრის ინვესტორთა საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების სტატუსი

1. სასამართლო რეფორმა:

მომხსენებელი: მარიამ მეღვინეთუხუცესი, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი

ძირითადი საკითხები:

- ინვესტორთა საბჭოს სამდივნო ინტენსიურად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროსთან კომერციული პალატების ჩამოყალიბების თაობაზე.
- ბრიტანეთის ხელისუფლებამ პროექტის პირველი ეტაპისთვის გამოყო დაფინანსება.
- Dechert/PWC-მ დაიწყეს ამ პროექტზე თანამშრომლობა იუსტიციის სამინისტროსთან და სავარაუდოდ შემდეგი ინვესტორთა საბჭოს სხდომისთვის Dechert-ი დაასრულებს მუშაობას პალატების სტრუქტურის, მმართველობისა და ფინანსური მენეჯმენტის კონცეფციაზე.
- ევრობანკი და ამერიკის ხელისუფლება გამოყოფენ სახსრებს ახალი მოსამართლეების ტრენინგების ორგანიზებისთვის, რაც პროექტის მეორე ეტაპი იქნება.
- GIZ-ის მხარდაჭერით განხორციელდება რეგულირების გავლენის ანალიზი (RIA), მას შემდეგ რაც Dechert/PWC დაასრულებს სამუშაოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროექტის თანხვედრა, როგორც საქართველოს არსებულ კონსტიტუციასთან ასევე ქვეყნის ევროპულ მისწრაფებასთან.

კომენტარები:

გიორგი ჭირაქაძემ, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტმა:

- განაცხადა, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ ჩაატარა კვლევა ასოციაციის წევრებს შორის საქართველოში საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეებიის შესახებ. კვლევის მიხედვით **სასამართლო სახელდება ქვეყანაშიყველაზე დიდ პრობლემად**.
- განმარტა, რომ საჭიროა ბიზნესისა და სასამართლო სისტემის წარმომადგენლებს შორის კომუნიკაცია სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების უკმაყოფილების თაობაზე
- აცნობა აუდიტორიას, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციას ნაყოფიერი პირველი შეხვედრა ჰქონდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან.

თეა წულუკიანმა, იუსტიციის მინისტრმა:

- ისაუბრა თუ რა ნაბიჯები გადაიდგა სასამართლოების განსატვირთად.
- განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტრომ დაამთავრა მედიაციის კანონზე მუშაობა, რომელიც მიეწოდა ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს კომენტარებისთვის და რომელიც პარლამენტს წარედგინება 2018 წლის იანვარში.

- დაადასტურა, რომ კომერციული პალატების სტრუქტურის, მართვისა და მენეჯმენტის შესახებ პრეზენტაცია მომავალი სხდომისთვის წარედგინება საბჭოს წევრებს.
- იმედი გამოთქვა, რომ კომერციულ პალატებზე კანონპროექტი პარლამენტს 2018 წელს წარედგინება, ხოლო მისი იმპლემენტაცია 2019 წლის იანვრიდან დაიწყება.

გიორგი მიქაუტაძემ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა:

- ისაუბრა პარლამენტის უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფის წარმატებულ თანამშრომლობაზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და უცხოელ ექსპერტებთან.
- ხაზი გაუსვა მაგისტრების უფლებამოსილების გაზრდის მნიშვნელობას სასამართლოების განტვირთვისა და საქმეთა განხილვის დასაჩქარებლად.
- გამოხატა მხარდაჭერა კომერციული პალატების შექმნისადმი.
- ისაუბრა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მნიშვნელობაზე ახალი მოსამართლეების მომზადების თვალსაზრისით და იმედი გამოთქვა, რომ მოსამართლეთა მომზადების პროცესში მონაწილეობას უცხოელი ექსპერტებიც შეძლებდნენ.

გიორგი ჭირაქაძემ, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტმა:

- ხაზი გაუსვა მოსამართლეებისთვის ადეკვატური ანაზღაურების მნიშვნელობას, როგორც მათი კეთილსინდისიერების, კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის აუცილებელ წინაპირობას.

ფადი ასლიმ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ:

- გამოხატა სრული მხარდაჭერა ბატონი გიორგი ჭირაქაძის მოსაზრების მიმართ მოსამართლეების ხელფასების თაობაზე.
- ისაუბრა აგრეთვე იმაზე, რომ მაღალ ანაზრაურებასთან ერთად აუცილებელია მოსამართლეების მაღალი ანგარიშვალდებულებაც.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- მადლობა გადაუხადა კერძო სექტორის წარმომადგენლებს სასამართლო ხელისუფლებასთან თანამშრომლობისთვის.
- გამოთქვა სურვილი, უკეთ გაცნობოდა საქართველოს ბიზნეს ასოციაციის კვლევას.
- ისაუბრა საზოგადოებასა და სასამართლო სისტემას შორის კომუნიკაციის მნიშვნელობაზე.
- ხაზი გაუსვა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მნიშვნელობას და სთხოვა ინვესტორთა საბჭოს წევრებს დახმარება სკოლის მხარდასაჭერად დონორების მოძიებაში.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნო გაუზიარებს ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის კვლევას.

იუსტიციის სამინისტრო მოამზადებს პრეზენტაციას კომერციულ პალატებთან დაკავშირებით.

ინვესტორთა საბჭოს სამდივნო გააგრძელებს იუსტიციის სამინისტროსთან, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საპარლამენტო უწყებათშორის სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობას სასამართლო რეფორმის თაობაზე.

2. კანონი მეწარმეთა შესახებ, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

მომხსენებელმა დრ. გიორგი ჯუღელმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს იურიდიულმა ექსპერტმა:

- განაცხადა, რომ სამდივნოს სამეწარმეო სამართლის რეფორმის სამუშაო ჯგუფი ჩართული იყო იუსტიციის სამინისტროსა და უცხოელ ექსპერტებთან ერთად ჯგუფის რეკომენდაციების განხილვაში, რის შედეგადაც რეკომენდაციათა უმრავლესობა იქნა გათვალისწინებული.
- ისაუბრა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის რეფორმასთან დაკავშირებულ სიახლეებზე და იმედი გამოთქვა, რომ რეფორმას დადებითი გავლენა ექნება საქართველოს Doing Business-ის რეიტინგზე.
- განაცხადა, რომ ინვესტორთა საბჭოს სამდივნო ორგანიზებას გაუკეთებს სამუშაო ჯგუფს, რომელიც ხელს შეუწყობს გადახდისსუნარობის რეფორმას, იუსტიციის სამინისტროსა და GIZ-სთან ერთად.

მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- მადლობა გადაუხადა იუსტიციის მინისტრს სამუშაო ჯგუფის მეწარმეთა შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის.
- გამოთქვა იმედი, რომ იუსტიციის სამინისტრო დააჩქარებს მუშაობას გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმაზე.

თეა წულუკიანმა, იუსტიციის მინისტრმა:

- განაცხადა, რომ მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის RIA-ზე მუშაობა დასრულებულია, რაც იმას ნიშნავს რომ შესაძლებელია კანონპროექტის შესახებ კონსულტაციების დაწყება დაინტერესებულ მხარეებთან, რის შემდეგაც გაიმართება საბოლოო დისკუსია ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებულ კერძო სამართლის რეფორმის საბჭოს ფარგლებში და კანონპროექტი წარედგინება პარლამენტს.
- განაცხადა, რომ დამატებითი კონსულტაციებია საჭირო ფინანსთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან გადახდისუუნარობის კანონმდებლობის რეფორმასთან დაკავშირებით; GIZ-მა უკვე გამოაცხადა ტენდერი RIA-ს

ჩასატარებლად. კანონპროექტი პარლამენტს სავარაუდოდ 2018 წლის გაზაფხულზე წარედგინება.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს სამუშაო ჯგუფი ითანამშრომლებს იუსტიციის სამინისტროსთან გადახდისუუნარობის კანონპროექტზე მუშაობის დასაჩქარებლად.

3. ტურიზმის საბჭოს ჩამოყალიბება ეკონომიკის სამინისტროსთან თანამშრომლობით

მომხსენებელმა მარიამა მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა

- აღნიშნა, რომ ინვესტორთა საბჭოს სამდივნომ ჩამოაყალიბა საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციისთვის ტექნიკური დახმარების პროექტის კონცეფცია, რომელიც მოწონებულ იქნა ბრიტანეთის ხელისუფლების მიერ. პროექტი დაიწყება 2018 წლიდან.
- განაცხადა, რომ ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს მიერ ნომინირებული ტურიზმის საბჭო გამართავს შეხვედრას უახლოეს დროში ტურიზმის ბიუჯეტის განსახილველად და რეკომენდაციების მოსამზადებლად, რის შემდეგაც დაიგეგმება საბჭოს შეხვედრა ტურიზმის ადმინისტრაციასთან კვარტალში ერთხელ, რათა საფუძველი ჩაეყაროს რეგულარულ ფორმალურ დიალოგს კერძო სექტორსა და ტურიზმის ადმინისტრაციას შორის.
- დაინტერესდა ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით ბიზნესების მოთხოვნის თაობაზე 2018 წლის ტურიზმის ბიუჯეტის ზრდასთან დაკავშირებით.

მამუკა ბახტაძემ, ფინანსთა მინისტრმა:

- განაცხადა, რომ ტურიზმის წილი მშპ-ში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გაორმაგდა, შესაბამისად სამინისტრომ გადაწყვიტა ტურიზმის ბიუჯეტის გაზრდა.
- დაადასტურა სამინისტროს მოლოდინი, რომ ტურიზმის ინდუსტრია მნიშვნელოვან ზრდას მომავალშიც გააგრძელებს.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს ტურიზმის საბჭო შეიკრიბება 2017 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში და ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს გაუზიარებს საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაციასა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, როგორც კი მიეწოდებათ ბიუჯეტის დრაფტი.

დისკუსიის თემები

ორგანული კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ

მომხსენებელმა მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- ისაუბრა სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ ორგანულ კანონზე მუშაობაში კერძო სექტორის საწყისი ეტაპიდან ჩართვის მნიშვნელობაზე.

მაიქელ ქოუგილმა, საქართველოს ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა:

- უკმაყოფილება გამოთქვა ორგანულ კანონზე მუშაობის შესახებ მწირი ინფორმაციის გამო, და ყურადღება გაამახვილა ინვესტორთა საბჭოს წევრების მიერ პრემიერ-მინისტრისადმი მიწერილ წერილზე.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- განაცხადა, რომ მომზადების შემდეგ მოხდება კანონპროექტის საჯარო განხილვა.
- განმარტა, რომ კანონპროექტში გათვალისწინებული იქნება, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ასევე რეგიონული კონტექსტი.

გადაწყვეტილება:

ინვესტორთა საბჭოს სამდივნო მიიღებს კანონპროექტს, მას შემდეგ რაც ის მზად იქნება საჯარო განხილვისთვის.

სხვადასხვა

ფადი ასლიმ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ:

- ისაუბრა ბიზნეს სექტორის ზრდად ოპტიმიზმზე, რაც კერძო სექტორსა და ხელისუფლებას შორის კონსტრუქციული დიალოგის შედეგია.
- მოითხოვა, რომ საპენსიო რეფორმა ინვესტორთა საბჭოს შემდეგი შეხვედრისგანსახილველ თემად დადგეს, რადგაან არსებული ფორმით კანონპროექტს მისი ორგანიზაცია მხარს ვერ დაუჭერს.

მარიამ მეღვინეთუხუცესმა, ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსმა:

- განაცხადა, რომ ინვესტორთა საბჭოს სამდივნო გეგმავს ამ თემით დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრას.
- განაცხადა, რომ აზიის განვითარების ბანკი აღარ იქნება ინვესტორთა საბჭოს წევრი, რადგან ორ წლიანი ვადა უკვე ამოიწურა, ახალ წევრს კი შემდეგ სხდომაზე წარადგენენ.

მაიქელ ქოუგილი, საქართველოს ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი:

- შეეხო სტუდენტური ვიზების გაცემის პრობლემას საქართველოში და აღნიშნა, რომ საქართველოს აქვს უცხოელი სტუდენტების მეშვეობით საგრძნობი შემოსავლის მიღების პოტენციალი.

გიორგი კვირიკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა:

- მოითხოვა, რომ შესაბამისმა სამინისტროებმა დაიწყონ აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობა და წაახალისონ უმაღლესი განათლებისთვის უცხოელი სტუდენტების საქართველოში ჩამოსვლა.

საბჭოს შემდეგი სხდომა გაიმართება 2018 წლის თებერვლის დასაწყისში

შეხვედრის დღის წესრიგი, სხვა თემებთან ერთად, იქნება:

1. საპენსიო რეფორმა

გიორგი კვირიკაშვილი	მარიამ მეღვინეთუხუცესი
ინვესტორთა საბჭოს თავმჯდომარე	ინვესტორთა საბჭოს სამდივნოს უფროსი